ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2020 წლის 6 ნოემბერი

სხდომის ოქმი №3

ქ. ახალციხე

2020 წელი, 6 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე — ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გურამი მელიქიძე — ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ნინო ლომიძე
4. ელენა ბეგიაშვილი
5. თამარ კაპანაძე
6. ზაზა ივანიძე
7. ასთხიკ სარქისიანი
8. ვასილ კვინცხაძე
9. ომარ ჯაყელი
10. შალვა ტაბატაძე
11. ციური ლაფაჩი
12. გივი კაპანაძე
13. ცირა მესხიშვილი
14. ნუგზარ თათეშვილი
15. სუსანა აკოფოვა

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. პოღოს მაგაკიანი
3. დოდო ბერიძე
4. მაკა ბერიძე
5. გიორგი ბუცხრიკიძე
6. ბელა ავალიშვილი
7. მერაბ ბერიძე
8. გიორგი ანდღულაძე
9. ვალიკო ბალიაშვილი
10. ჭიჭიკო გელაშვილი
11. ოგანეს უსტიან
12. ამალია სარქისიან
13. აშოთ კავალერიან
14. მარეხი ყურმაშვილი

დღის წესრიგი

1. **ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;**
2. **დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;**
3. **2021 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობა;**
4. **საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა;**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა და 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. მან მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შეაჯამა. აღნიშნა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, მთის ფონდის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“, საგანმანათლებლო ინფარსტრუქტურის განვითარების პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 17 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, ესენია - გზების, სასმელი წყლის სისტემებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადებისა და

სადარბაზოების კეთილმოწყობა, სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობა, საბავშვო ბაღებისა და სასკოლო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მერმა საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გააკეთა აქცენტი და საბჭოს წევრებს, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებული მასშტაბური პროექტები გააცნო. მოწესრიგდა ანდრიაწმინდა-ანდის საავტომობილო გზა, გიორგიწმინდა-მუგარეთის დამაკავშირებელი გზა, მეორე შახტის გზა, წყრუთი-წირის დამაკავშირებელი გზა და აწყური-ტყემლანის საავტომობილო გზა;

მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა ქალაქ ახალციხის ცენტრალური ქუჩების მოსაწესრიგებლად. ამ დროისთვის, უკვე დასრულებულია საფეხმავლო ბილიკების მოწყობა ნათენაძის, შალვა ახალციხელის, კოსტავას და დიდიმამიშვილის ქუჩებზე, მოწესრიგდა თამარ მეფისა და რუსთაველის ძეგლების მიმდებარედ არსებული სკვერები. დასრულებულია ასევე, 9 აპრილის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უახლოეს ხანში კი დასრულდება რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპიც.

რუსთაველისა და ასპინძის ქუჩებზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადები და სადარბაზოები მოწესრიგდა; სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 საცხოვრებელ სახლს.

მერმა ისაუბრა ქალაქის მასშტაბით რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების შესახებ. სტიქიის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში მოწესრიგდა თამარაშვილის ქუჩიდან მდინარე ფოცხოვამდე არსებული ღია სანიაღვრე არხი, ე.წ „მლაშიხევის“ დახურული სანიაღვრე წყალშემკრები და დახურული კოლექტორი მოეწყო რუსთაველის ქუჩაზე. აღინიშნა, რომ, სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმდებარე დასახლების მაცხოვრებლებისთვის წლების მანძილზე არსებული პრობლემები მოგვარდა.

მუნიციპალიტეტის მერმა საბჭოს წევრებს წყალმომარაგების სისტემების მასშტაბური სარეაბილიტაციო პროექტებიც გააცნო. ამ დროისთვის, სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა მიმდინარეობს სოფლებში კლდესა და ანში, მიმდინარე წელსვე დაიწყება სოფელ მუგარეთში სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობა.

ახალი გარე განათების სისტემები მოეწყო, როგორც ქალაქ ახალციხეში (რაბათის, მარდის, აბის დასახლებებში და ვაჟა-ფშაველას, ჯავახიშვილისა და თაყაიშვილის ქუჩებზე), ასევე სოფლებში აწყურში, სხვილისში, წყალთბილაში, ნაოხრებში, კლდეში, ფერსაში და სხვა. მერის თქმით გარე განათებების მოწყობა მომავალ წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. მიმდინარე წელს დასრულდა ქალაქის №1 საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა. ასევე, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქალაქ ახალციხის №1, №3, №5, №6 საბავშვო ბაგა-ბაღებისა და №7 საჯარო სკოლის შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების პროექტი განხორციელდა. შედეგად, ენერგეტიკული რესურსების მოხმარების

შემცირებასთან ერთად, გაუმჯობესდა პირობები დასაქმებული პერსონალისა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის.

მერმა დეტალურად ისაუბრა მომავალი 2021 წლის გეგმებზე და საბჭოს წევრებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტები გააცნო. მისი თქმით გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

ერთ-ერთი პრიორიტეტია სოფლებამდე მისასვლელი გზების მოწყობა. მათ შორის გაგრძელდება ანდრიაწმინდის, წყრუთი-წირის (2 ეტაპი), მეორე შახტის დასახლებაში (მეორე მონაკვეთი) საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, იგეგმება სოფელ თისელის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოები.

2021 წელს დასრულდება სოფელ სხვილისისა და სოფელ წყრუთის საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა, ასევე, იგეგმება ქალაქ ახალციხის №2 საბავშვო ბაღის შენობას კაპიტალური რეაბილიტაცია.

ახალგაზრდული ცენტრი და სპორტული კომპლექსი აშენდება რუსთაველის ქუჩაზე ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, ასევე მოეწყობა სკვერი და საავტომობილო გზა.

დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე.

გაგრძელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოებისა და სახურავების რეაბილიტაცია და ა.შ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია სამხატვრო და მუსიკალური სკოლების რეაბილიტაცია. აღინიშნა, რომ სამხატვრო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს ხანში დაიწყება, პროექტის ფარგლებში სამუშაო ოთახებთან ერთად, მოეწყობა საგამოფენო დარბაზიც. რაც შეეხება, მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციას, პროექტი უკვე მზად არის და მიმდინარეობს შესაბამისი სახსრების მოძიების პროცესი.

სხდომაზე განიხილეს ქალაქ ახალციხეში დაგეგმილი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტებიც. მერის განცხადებით უახლოეს ხანში დაიწყება **სპორტული კომპლექსის** მშენებლობა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დიდი და მცირე საცურაო აუზების, ტრენაჟორების, ძალოსნობის, კრივის და ჭიდაობის დარბაზების მშენებლობა. მოხდება კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. მერის განმარტებით, სპორტ-კომპლექსის მშენებლობა ხელს შეუწყობს სპორტის მოყვარულებს კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ, გამართონ ტურნირები და ჩემპიონატები.

გარდა ამისა, იგეგმება ახალციხის **ცენტრალური სტადიონის მასშტაბური** რეაბილიტაცია, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით, რეკრეაციული ზონის პროექტზე დაიწყება მუშაობა.

ზაზა მელიქიძემ დეტალურად ისაუბრა ქალაქ ახალციხეში, **რუსთაველის ქუჩა №124-ში, სოფლებში აგარაში, სხვილისსა და წყრუთში საბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ.** ქალაქ

ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა №124-ში და სოფელ აგარაში საბავშვო ბაღების მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. ამ დროისთვის, აქტიურად მიმდინარეობს სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ წყრუთში კი არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟი განხორციელდა და უახლოეს ხანში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

საბჭოს წევრები **რუსთაველის ქუჩა №124-ში** მდებარე ე. წ. „სასაზღვრო ქალაქის" ტერიტორიის განვითარების კონცეფციას და დაგეგმილ სამუშაოებსაც გაეცნენ. წლების მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი სამხედრო ბაზა მნიშვნელოვნად აფერხებდა ქალაქის განვითარებას, წელიწადნახევრის წინ ყოფილი ბაზის ტერიტორიის ნაწილი, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ახალციხის მუნიციპალიტეტს გადაეცა. ახლახანს კი მემორანდუმი გაფორმდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) საზოგადოებასთან, რომელიც ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისთვის მუნიციპალიტეტისთვის საგრანტო დახმარების გაწევას ისახავს მიზნად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 180 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა უკვე დაგეგმილია, გარდა ამისა, დასახლების ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრი, სპორტული კომპლექსი და კულტურის სახლი აშენდება, მოეწყობა სკვერი და სასეირნო ველობილიკი.

საბჭოს წევრები **ახალციხის ხელოვნური ტბის** მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების კონცეფციასაც გაეცნენ. მერის თქმით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის შემდგომი განვითარებისათვის, იგეგმება სპორტული მოედნების, ველობილიკისა და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა.

სამოქალაქო საბჭოს სხდომის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რომელიც დამსწრეებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გურამ მელიქიძემ წარუდგინა.

საბჭოს წევრები ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს და პრიორიტეტებს გაეცნენ. აღინიშნა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტი 16 მილიონი ლარით განისაზღვრა და მთავარ პრიორიტეტებად კვლავ ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებები რჩება. გურამ მელიქიძემ, ასევე იურიდიული პირების სუბსიდირებაზე ისაუბრა, მისი თქმით მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას, სადაც 2000-მდე აღსაზრდელია მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ისაუბრა ასევე კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულების დაფინანსებაზე და დაგეგმილ აქტივობებზე.

ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს უპასუხეს მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა მელიქიძემ და მერის პირველმა მოადგილემ გურამ მელიქიძემ.

გარდა ამისა, გურამ მელიქიძემ საბჭოს წევრებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ღია მმართველობის გლობალურ პარტნიორობაში გაწევრიანების შესახებ ინფორმაციაც გააცნო.

აღნიშნა, რომ ეს არის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. OGP-ში გაწევრიანებით ახალციხის მუნიციპალიტეტს მიეცემა შესაძლებლობა ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და გაიზიაროს მათი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით.

შეხვედრის ბოლოს, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა, წარმოდგენილი ანგარიში, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი მოიწონეს, გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები, ასევე **თავიანთი ინიციატივები გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს:**

ნუგზარ თათეშვილმა დადებითად შეაფასა საბავშვო ბაღებში განხორციელებული ენერგოეფექტურობის პროექტი და დაინტერესდა ქალაქის №2 და №4 ბაღების რეაბილიტაციის საკითხით. აღინიშნა, რომ 2021 წელს №2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება, დანარჩენი ბაღების კეთილმოწყობა ეტაპობრივად განხორციელდება.

ცირა მესხიშვილი დაინტერესდა სოფელ ჭაჭარაქში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის, ასევე ცენტრალურ გზაზე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერებისა და კამერების მონტაჟის საკითხებით. მერის განცხადებით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქ ახალციხეში მასშტაბურ სამუშაოებს იწყებს წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, რომლის ფარგლებში სრულად მოგვარდება სოფელ ჭაჭარაქში არსებული პრობლემაც. რაც შეეხება სიჩქარის შემზღუდველ ბარიერებსა და ჭკვიან კამერებს, მათი მოწყობას, როგორც სოფელ ჭაჭარაქის, ისე სხვილისის და ადიგენის მიმართულებითაც იგეგმება.

ნინო ლომიძემ დასრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან და დაგეგმილ პროექტებთან ერთად, დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტში პანდემიის პერიოდში გაწეული მუშაობა, ასევე სოციალური და ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები.

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები მოიწონა **ციური ლაფაჩმა. ვასილ კვინცხაძე,** დაინტერესდა იგეგმება თუ არა ქალაქის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ საფეხმავლო გზის მოწესრიგება. ზაზა მელიქიძის განცხადებით აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაცია იგეგმება და ამ ეტაპზე პროექტის მომზადება მიმდინარეობს.

შალვა ტაბატაძემ შესრულებული სამუშაოების მნიშვნელობაზე ისაუბრა, აქცენტი გააკეთა სოფლებში მოსახლეობის ინფორმირებაზე საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებით. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად დაასახელა სოფლების გაზიფიცირება. მან ასევე, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე სათვალთვალო კამერების დაყენების თხოვნით მიმართა მერიას. ისაუბრა სოფლებში გასვლით სპექტაკლების შესახებ და ხანშიშესული პირებისთვის თავშეყრის ადგილის მოწყობის საჭიროებაზე. მერის განცხადებით, მუნიციპალიტეტის სოფლების გარკვეულ ნაწილში გაზმომარაგებით უკვე სარგებლობენ და გრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები, ცენტრალურ პარკში დაგეგმილია სათვალთვალო კამერების დაყენება, ხოლო

თავშეყრის ადგილის მოწყობა შესაძლებელია მუსიკალურ სკოლაში, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება.

საბჭოს სხდომაზე ქალაქის ცენტრალურ პარკში განთავსებული მონიტორის დანიშნულებაზეც ისაუბრეს, მერის განმარტებით, მონიტორის საშუალებით მოხდება მოსახლეობის ინფორმირება განხორციელებული პროექტების, სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, თეატრალური სპექტაკლების ანონსების შესახებ. შესაძლებელი იქნება ასევე, როგორც რეკლამების, ასევე არაკომერციული მიზნით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სიახლეების განთავსება.

სხდომის დასასრულს მერმა მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს აქტიური მხარდაჭერისათვის, ხოლო სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრის, ზრდასრულთა განათლების ცენტრის, ასოციაცია „ტოლერანტისა“ და კოლეჯ „ოპიზარის“ წარმომადგენლებს განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში გაწეული თანამშრომლობისათვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე

2 თენგიზ ხითარიშვილი

3 მალხაზ მანველიშვილი

4 ნინო ლომიძე

5 ელენა ბეგიაშვილი

6 თამარ კაპანაძე

7 ზაზა ივანიძე

8 პოღოს მაგაკიანი

9 ასთხიკ სარქისიანი

10 დოდო ბერიძე

11 მაკა ბერიძე

12 ვასილ კვინცხაძე

13 ომარ ჯაყელი

14 შალვა ტაბატაძე

15 ციური ლაფაჩი

16 გიორგი ბუცხრიკიძე

17 ბელა ავალიშვილი

18 მერაბ ბერიძე

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ოგანეს უსტიან _____

27 ამალია სარქისიან _____

28 აშოთ კავალერიან _____

29 მარეხი ყურმაშვილი _____